განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მედიცინის სადოქტორო პროგრამა

## ა(ა)იპ - ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17 სექტემბერი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 ნოემბერი 2020 წელი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ - ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **404987332** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მედიცინა (Medicine) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა (საფეხური III) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მედიცინის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მედიცინა, 0912 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ჯიქია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირმა მანჯავიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის 15 ივლისს. ამ ეტაპზე წარმოდგენილია პროგრამა რეაკრედიტაციისთვის.

პირველი ჩარიცხვა პროგრამაზე განხორციელდა 2015/2016 სასწავლო წელს.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია და მოიცავს 180 ECTS; შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან; სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს: (1) *სასწავლო სავალდებულო კომპონენტი* - სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები - 30 კრედიტი, სწავლების მეთოდები I - 15 კრედიტი, სემინარს I - 15 კრედიტი და (2) სასწავლო არჩევითი კომპონენტი: სწავლების მეთოდები II - 15 კრედიტი, სემინარს II - 15 კრედიტი; ჯამში მინიმუმ - 75 კრედიტი. *კვლევითი კომპონენტი:* პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევები I, II და III – 45 კრედიტი, კოლოკვიუმები I და II – 30 კრედიტი, სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა - 30 კრედიტი (სულ 105 კრედიტი).

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სურს დაეუფლოს პროგრამის მიმართულებების სპეციფიკურ ცოდნას, მას კურიკულუმის გარეთ შესაძლებლობა აქვს გაიაროს სასწავლო კურსები მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამიდან (MD) და/ან სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამიდან.

*პროგრამის მიზნები:* (1) პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება არსებული ცოდნის გაღრმავებისა და ახალი მეთოდების დანერგვის გზით მედიცინაში; (2) კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს VIII დონის შესაბამისად.

დაცული სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა არის 3.

სადოქტორო პროგრამას ჰქვია „მედიცინა“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მედიცინის დოქტორი („Doctor of Medicicne“), რომელიც შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდთან: ფართო სფერო - ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (Health and Welfare) (09), ვიწრო სფერო - ჯანდაცვა (Health) (091), დეტალური სფერო - მედიცინა (Medicine) (0912).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2020 წლის 17 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი ააიპ ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტში. აკრედიტაციი პროცესი მოიცავდა ონლაინ შეხვედრებს და აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტს მატერიალუ ტექნიკური ბაზის შეფასების მიზნით. სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან დაიწყო დღის წესრიგის შესაბამისად 09 საათიდან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან – უნივერსიტეტის რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზნებია პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება არსებული ცოდნის გაღრმავებისა და ახალი მეთოდების დანერგვის გზით მედიცინაში და კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს VIII დონის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „მედიცინა“ დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ისეთი წინაპირობები, როგორებიცაა: ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამა; ბ) სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები; გ) მატერიალური რესურსი; ე) საერთაშორისო თანამშრომლობა.

პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში დაცულია 3 დისერტაცია. დოქტორანტებს ენიჭებათ „მედიცინის დოქტორის“ ხარისხი.

„მედიცინის“ სადოქტორო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კომპონენტებისაგან: სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები (სავალდ.), სწავლების მეთოდები I (სავალდ.), სემინარი I (სავალდ.), სწავლების მეთოდები II (არჩ.), სემინარი II (არჩ.). ასევე არის კვლევითი კომპონენტები: პროფესორის ხელმძღვანელობით განხორციელებულ კვლევები I, II და III, კოლოკვიუმები I და II, სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. დოქტორანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სადოქტორო ნაშრომებს. უნივერსიტეტი

უზრუნველყოფს დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/საინფორმაციო მხარდაჭერას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის და სწავლების პროცესები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სწავლის და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების და მიღწევადობის საფუძველს.

პროგრამის ხელმძღვანელები, მონაწილე აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის დოქტორანტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, მხარდაჭერას საინფორმაციო რესურსების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და სხვა საკითხებზე. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები და თავისებურებები.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას.

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მონიტორინგი რეგულარული პროცესია რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები - როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია შეიქმნას ან დაიხვეწოს უნივერსიტეტში არსებული დისერტაციების გაფორმების ტექნიკური რეგლამენტი – ერთიანი სტილი (დისერტაციების სტრუქტურა, მოცულობა, გამოყენებული შრიფტი (იუნიკოდი), ბიბლიოგრაფიის საერთაშორისოდ დამკვიდრებული APA ან NLM ან Harvard სტანდარტები და სხვ.) და გაეცნოთ სტუდენტებს.
2. ჩამოყალიბდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
3. უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ენა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მედიცინის სადოქოტორო პროგრამაში კრედიტების ადეკვატური განაწილება.
5. უზრუნველყოფილ იქნეს ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკური შეფასების წესები და პროცედურების შემუშავება და განხორციელება.
6. სადოქტორო დისერტაციის შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან.
7. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში დეტალურად აისახოს კლინკურ დეპრტამანტებში აკადემიური პერსო-

ნალის არჩევის წესი და კრიტერიუმები მედიცინის დარგობრივი მახსიათებლის გათვალისწინებით;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველი იქნება მედიცინის სადოქტორო პროგრამაში არჩევითი საგნის ფორმატით, პროგრამაში დაემატოს პროფესიული ინგლისური ენის სილაბუსი
  - მედიცინის სადოქტორო პროგრამაში სწავლა-სწავლების მეთოდები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.
  - სასურველია, შემუშავდეს პერსონალის პირადი საქმის წარმოდგენის ერთიანი წესი და ფორმა.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - PCR ლაბორატორია
  - სისხლის ბანკი
  - ZEISS-ის ლაბორატორია

2019 წელს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში გაიხსნა გერმანულ-სახელმწიფო საინჟინრო საზოგადოებისა და სამეცნიერო ფონდ ZEISS-ის მიკროსკოპიის ლაბორატორია და კვლევითი ცენტრი. ლაბორატორიის რესურსები ხელმისაწვდომია სტუდენტების, დოქტორანტების, მკვლევართა თვის და უნივერსიტეტის გარეთ მოღვაწე მიკროსკოპით დაინტერესებულ მეცნიერებისათვის.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნებია პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა და ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება არსებული ცოდნის გაღრმავებისა და ახალი მეთოდების დანერგვის გზით მედიცინაში და კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს VIII დონის შესაბამისად.<br><br>სადოქტორო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია.<br><br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „მედიცინა“ დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ისეთი წინაპირობები, როგორებიცაა: ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამა; ბ) სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები; გ) მატერიალური რესურსი; ე) საერთაშორისო თანამშრომლობა.<br><br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს.<br><br>სწავლის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან. და საკუთრივ პროგრამის მიზნები რეალისტურია, ნათელია და მიღწევადია.<br><br>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება სფეროსთვის და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე აგებული მცირე კვლევები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სადოქტორო თემის საკვლევ საკითხთან, მაგალითად, კოვიდ-19-თან დაკავშირებული კვლევა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o მედიცინის სადოქტორო პროგრამა;<br>o უნივერსიტეტის მისია http://www.newvision.ge/ge/content/mission-strategy;<br>o უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა http://newvision.ge/sites/default/files/danarti_no2.pdf;<br>o თვითშეფასების კითხვარი;<br>o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მედიცინა“ სწავლის შედეგების ფორმულირება შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. სწავლის შედეგებში აღწერილია ის ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს პროგრამის კურსდამთავრებულს.

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის განსაზღვრული ის კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია სადოქტორო დისერტაციის შესასრულებლად და

კვალიფიციური მკვლევარის ჩამოსაყალიბებლად.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილია კონკრეტულ შედეგებად და მოიცავს როგორც ცოდნას, დარგისთვის სპეციფიურ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, აგრეთვე ავტონომიურობის და პასუხიმგებლობის ამსახველ შესაბამის შედეგებს;

ზოგადი შედეგები:

- ცოდნის გამოვლენა უახლესი მოვლენების შესახებ და მისი გაფართოება ინოვაციური მეთოდების გამოყენებით;
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების და მიდგომების ანალიზი;
- პრობლემების გადასაჭრელად ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის და განახორციელების და ზედამხედველობის უნარი;
- მედიცინის გააზრების უფრო მაღალი დონე;

დარგობრივი შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეისწავლოს და შეაფასოს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა ახალი სამედიცინო პრაქტიკის, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მიდგომების კონტექსტში, რაც სადოქტორო ნაშრომის მეშვეობით არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე;
- სადოქტორო ნაშრომის მეშვეობით არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- შემუშავება ინოვაციური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- მედიცინაში, დიაგნოსტიკური და სამკურნალო პრაქტიკითა და მეცნიერული თეორიებით გათვალისწინებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;
- ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, განსაკუთრებით, სადოქტორო ნაშრომის ჭრილში. ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და შეფასების პერიოდულობა. სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობით. პროგრამის შედეგების შეფასების ციკლი შედგება

ინფორმაციის განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზისგან. განხორციელებული შეფასება უნდა იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კომპონენტები, ქულები და კრიტერიუმები.

დაცული დისერტაციების გაცნობამ აჩვენა, რომ მათი სტრუქტურა და გაფორმების სტილი საჭიროებს გარკვეულ აკადემიურ სტილთან და/ან უნივერსიტეტის მხრიდან განსაზღვრულ ერთგვაროვან ფორმატთან შესაბამისობაში მოყვანას, კორექტირებას.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული სადოქტორო სწავლების აკადემიური განათლების სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებით.

პროგრამის შედეგების შეფასების მაჩვენებლად გამოიყენება პროგრამის ძირითად ვადაში პროგრამით სწავლის დასრულების მაჩვენებელი. ასევე, პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მაჩვენებელია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი პირობაა პროგრამის განხორციელების ხარისხის და რესურსებით უზრუნველყოფის ყოველწლიური შესწავლა (მონიტორინგი, გამოკითხვები), სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სადისერტაციო საბჭოს და დოქტურანტურის დებულება;
- დისერტაციები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში/განხილვაში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია შეიქმნას ან დაიხვეწოს უნივერსიტეტში არსებული დისერტაციების გაფორმების ტექნიკური რეგლამენტი – ერთიანი სტილი (დისერტაციების სტრუქტურა, მოცულობა, გამოყენებული შრიფტი (იუნიკოდი), ბიბლიოგრაფიის საერთაშორისოდ დამკვიდრებული APA ან NLM ან Harvard სტანდარტები და სხვ.) და გაეცნოთ სტუდენტებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მედიცინაში სადოქტორო პროგრამის (რომლის მისანიჭებელი ხარისხი არის მედიცინის დოქტორი) დაშვების წინაპირობას წარმოადგენს „დიპლომირებული მედიკოსი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, დიპლომირებული სტომატოლოგი /განათლების და მეცნიერების სამინისტროს განსხვავებული წესი“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხი, ვიზიტის დროს გახდა დაინტერესების საფუძველი, ვინიდან მედიცინა და სტომატოლოგია წარმოადგენს სხვადასხვა რეგულირებად პროფესიულ დარგებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით აბსოლუტურად განსხვავებულია. დანართი N2-ში, აღნიშნულია, რომ „კლასიფიკატორით დადგენილ დეტალური სფეროს პირველ სვეტში, სწავლის შედეგების შესაბამისად, კლასიფიცირებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის სფეროები. ამავდროულად დენტალური მედიცინა წარმოდგენილია კოდით 0911, და აქვს განმარტება „შეისწავლის კბილების და ღრძილების დაავადებების და დარღვევების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პრევენციას. ასევე შეისწავლის კბილის პროტეზირებისა და ორთოდონტიული მოწყობილობის შემუშავებას, გაკეთებას და შეკეთებას“. თავად დენტალური მედიცინის შემადგენელი ნაწილია სტომატოლოგია 0911.1.1. რომელიც თავისი არსით აბსოლუტურად განსხვავებულია მედიცინისაგან, რომლის კოდიც 0912 და „შეისწავლის იმ პრინციპებს და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანების დაავადებებისა და დაზიანებების პრევენციის, დიაგნოსტიკის, ავადმყოფის მოვლისა და მკურნალობისათვის, ასევე ზოგადად ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის“. ასევე, ყურადღება უნდა მიქცეს იმ გარემოებასაც, რომ მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია ძირითადი კომპეტენციები, რასაც უნდა უფლობდეს დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, M.D.)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩამოყალიბდეს ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლების ენად პროგრამაში მითითებულია ქართული, თუმცა აქვე კომენტარში მითითებულია „პროგრამის კომპონენტების სწავლება/განხორციელება შესაძლებელია ინგლისურ ენაზეც“. მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე ვიზიტის განხორციელების პერიოდში გამოცხადებული იყო მიღება. განაცხადი განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ვებ გვერდზე განთავსებულ განაცხადში კი მითითებული იყო სწავლების ენა ინგლისური. ამ საკითხზე ინტერვიუს დროს მივიღეთ განმარტება, რომ ამჟამად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადი უნივერსიტეტს აქვს შემოტანილია პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, ხოლო 2015 წელს აკრედიტაცია პროგრამამ გაიარა როგორც ორენოვანმა პროგრამამ.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მეოთხე მუხლში „უმაღლესი განათლების ენა“, მითითებულია, რომ „უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში სწავლის ენა არის ქართული, ... გარდა ინდივიდური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინიტროსთან“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ენა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამისათვის 2018 წლის 5 ივლისის აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებული ცვლილებები ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული.

ენის ცოდნის სავალდებულო მოთხოვნაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. თუმცა ინოვაციური, ეფექტური და აქტუალური კვლევების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია პროფესიული ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის ზრდაც. ამ ეტაპზე სადოქტორო პროგრამა არ ითვალისწინებს ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის შესაძლებლობას. სასურველი იქნება დოქტორანტს მიეცეს, არჩევითი საგნის ფორმატით, პროფესიული ინგლისური ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე მუდმივად იყო კონკურსი. (2015-2016 სასწ, წელს გამოცხადებული ადგილების რაოდენობა იყო 15, ჩაირიცხა - 14 (93 %), შემდგომ წელს 15 ადგილზე ჩაირიცხა 8 (53,3%), 2017-2018 წელს 15 ადგილზე ჩაირიცხა 5 დოქტორანტი (33%), სწავლების მეოთხე წელს 2018-2019 წელს კონკურსზე გამოცხადდა 30 ადგილზე, ჩაირიცხა 28 ( 93%), ხოლო 2019-2020 წელს კი 10 გამოცხადებულ ადგილზე ჩაირიცხა 4 (40%). როგორც სხვადასხვა შეხვედრების დროს გამოიკვეთა სადოქტორო პროგრამა არის მოთხოვნადი და მუდმივად ხდება საუკეთესო დოქტორანტების შერჩევა.

ა(ა)იპ „ნიუ-ვიჟენ“ – უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცედურები. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომის სავარაუდო სათაურის, სტრუქტურისა და სასურველი ხელმძღვანელის მითითებით.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობებია: ხელმძღვანელის თანხმობა; ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ადგენს ინგლისური ან სხვა ევროპული ენის (გერმანული, ფრანგული), მინიმუმ, B2 დონეზე ფლობას ან უცხო ენის საუნივერსიტეტო გამოცდის დაძლევა. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დოქტორანტების შერჩევა ხდება კომისიურად. ჯერ ხდება მხოლოდ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება. შემდეგ სააპლიკაციო ფორმაში დოქტორანტი აფიქსირებს თემის სავარუდო სათაურს, იდეას კვლევის შესახებ. კომისია განიხილავს თითოეულ სააპლიკაციო განაცხადს, იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ან განახორციელებს სათაურის ცვლილებას ან მისცემს რჩევებს აპლიკანტს. საბოლოოდ პირი დოქტორანტურაში სადისერტაციო საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ირიცხება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები საჯაროა, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მედიცინის სადოქტორო პროგრამა;
- სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- ჩამოყალიბდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
- უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ენა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველი იქნება მედიცინის სადოქტორო პროგრამაში არჩევითი საგნის ფორმატით, პროგრამაში დაემატოს პროფესიული ინგლისური ენის სილაბუსი

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

| |
|---|
| შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტში პროგრამის შედგენა ხდება „უნივერსიტეტის საგანმანათ-ლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების“ მიხედვით. გაწერილია ცალკე თავში „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება“, თუმცა აქ არის წარმოდგენილი პროგრამის შედგენის ზოგადი პრინციპები.<br><br>როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე ასევე, მარეგულირებელ დოკუმენტში „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მიხედვით, სადოქტორო პროგრამა შედგება 180 კრედიტისაგან. ხოლო სააკრედიტაციოდ გადმოგზავნილ მედიცინის სადოქტორო პროგრამაში აღნიშნულია, რომ შედგება 60 კრედიტისაგან და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს VIII დონეს, რომლიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას. თუმცა სადოქტორო პროგრამის მესამე პუნქტში მოდულიზებული კომპონენტები სწავლის შედეგების ჭრილში, მითითებულია. მათ შორის **სავალდებულო საგნებია:** სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები - 30 კრედიტი, სწავლების მეთოდები I - 15 კრედიტი, სემინარი I - 15 კრედიტი, ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა I - 15 კრედიტი, ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა II - 15 კრედიტი, ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა III - 15 კრედიტი, I კოლოკვიუმი - 15 კრედიტი, II კოლოკვიუმი - 15 კრედიტი, სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა - 30 კრედიტი.<br><br>სავალდებულო საგნების ჯამში შეადგენს სავალდებულო საგნების ჯამი რეაკრედიტაციზე წარმოდგენილი და ვებ გვერდზე გამოქვეყნებული პროგრამის მიხედვით 165 კრედიტია, ხოლო **არჩევითი საგნები** შეადგენს ჯამურად სწავლების მეთოდები II - 15 კრედიტი, სემინარი II - 15 კრედიტი ჯამურად არჩევითი კრედიტების რაოდენობა შეადგენს 30 კრედიტს.<br><br>კრედიტების ასეთი გაანგარიშება ბუნდოვანია, სასწავლო კომპონენტზე კრედიტების რაოდენობა აღემატება 60 კრედიტს. ასევე არ არის მითითებული კრედიტების განაწილება რამდენ წელზეა გათვლილი.<br><br>პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.<br><br>ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გადაიხედოს პროგრამის კრედიტების განაწილება, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის სტრუქტურასთან და კანონმდებლობასთან და განხორციელდეს სათანდო ცვლილები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- მედიცინის სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მედიცინის სადოქოტორო პროგრამაში კრედიტების ადეკვატური განაწილება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს;

მედიცინის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსი შედგება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტისგან, რომლიც დეტალურად ასახულია სტანდარტ 2.2. ში.

სილაბუსში „სადისერტაციო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები“ გაწერილია თემები და მითითებული ლიტერატურა, თუმცა დისკუსიის საგანს წარმოადგენდა რამდენად იყო საკმარისი ბიოსტატისტიკის მიმართულებით მეშვიდე კვირაში ორი ერთსაათიანი ლექცია და ორი ჯგუფური მუშაობა („სწავლა-კეთებით“). ასევე სამეცნიერო ნაშრომის შესავალი და კვლევის გეგმაში 2 სალექციო საათი მოიცავს: ურთიერთმიმართება, დაგეგმვა, მოლოდინი, მოქმედების სტრატეგია და ბიოეთიკა. მაშინ როცა კლინიკური კვლევების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია ბიოეთიკური საკითხების გათვალისწინება.

სემინარი I, რომელსაც ახორციელებს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი ან უნივერსიტეტის სხვა პროფესორი, არის სასწავლო კომპონენტი და, აქედან გამომდინარე, არ არის დაკავშირებული სადოქტორო ნაშრომთან. დოქტორანტი მონაწილეობს ხელმძღვანელის, „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის ან სხვა უნივერსიტეტის პროფესორის მიერ (კრედიტების აღიარების შესახებ შესაბამისი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში), განსაზღვრული ფართო საკითხისადმი მიძღვნილ სემინარში, არჩევს/ათანხმებს ნაშრომის თემას და აწყობს პრეზენტაციას სხვა დოქტორანტების ან ფართო საზოგადოების წინაშე. როგორც ინტერვიუს დროს დამატებით გაირკვა სემინარი I და სემინარი II, არის მცირე კვლევები და საერთოდ არ არის დაკავშირებული სადოქტორო თემის საკვლევ საკითხთან, ასეთი კვლევა იყო კოვიდ-19-თან დაკავშირებული კვლევა.

სემინარი I ძირითადი კომპონენტია, რომელიც სემინარის ხელმძღვანელის შეფასებისა და საუნივერსიტეტო რეცენზირების შემდეგ ქვეყნდება უნივერსიტეტის რომელიმე გამოცემაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევის ძირითადი მეთოდების გაცნობა ხდება პირველ სემესტრში სპეციალური ძირითადი კურსის მეშვეობით. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტს, გაეცნოს სადოქტორო კვლევის ორგანიზების მეთოდებს, პირველად წყაროებთან მუშაობის და მეორადი წყაროების გამოყენების სპეციფიკას. ძირითადი მეთოდი „გააკეთე და ისწავლეა“ ვინაიდან სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კომპონენტები. შემდგომ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს არჩევითი კომპონენტი. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევა კოლოკვიუმისგან იმით განსხვავდება, რომ არის მითითებების მიღების ფართო შესაძლებლობა იმ დროს, როცა კოლოკვიუმი დამოუკიდებელ მუშაობას ემყარება. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დამოუკიდებლად ჩატარებული კოლოკვიუმის გონივრული ნაზავი ხელს უწყობს, შესაბამისად, დამოუკიდებელი და ინტერაქტიული მუშაობით განპირობებული უნარების განვითარებას.

სილაბუსები სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა, ჩამოყალიბებულია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. მათ შორის არის ტექნიკურად გამართულად ჩამოყალიბება, ადეკვატური ციტირების ტექნიკა, თუმცა მედიცინის სადოქტორო პროგრამიდან დაცულია სულ 3 დისერტაცია და ტექნიკური რეგლამენტი არ არის გათვალისწინებული. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის

| |
|---|
| მარეგულირებელ დოკუმენტში „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება“, 18 პუნქტში მითითებულია კვლევითი ნაშრომის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ. რომ სადოქტორო უნდა მოიცავდეს 40000 სიტყვას და სხვა დეტალური აღწერილობა.<br><br>ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სადოქტორო ნაშრომების გაფორმება უნდა განხორციელ-დეს მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.<br><br>საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ხორციელდება საგანანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა. ჰოსპიტალის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს სამედიცინო ეთიკის კომიტეტი. როგორც გაირკვა ინტერვიუს დროს პაციენტების ინფორმირებული თანხმობის ფორმები კომიტეტის მიერ არის მომზადებული და კვლევების განხორციელებისას პაციენტები უფლებამოსილების არიან თანხმობის ფორმაში დააფიქსირონ თავისი თანხმობა ხელმოწერით. თუმცა ნიუ-ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის წესდებაში, ამ ეტაპზე, არ არის დეტალურად გაწერილი ეთიკის კომიტეტის ფუნქციები, მუშაობის წესები, ბიოსამედიცინო კვლევის გეგმის წარდგენის, შეფასების და გადაწყვეტილების მიღების და ზედამხედველობის პროცედურები. მიგვაჩნია, რომ ინოვაციური, საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევების განხორციელებისათვის და შესაბამისად კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პუბლიკაციების მომზადებისათვის მნიშვნელოვანია კვლევასთან დაკავშირებული პროცედურები (კვლევის დაწყებამდე) გაწე-რილი იქნეს მარეგულირებელ დოკუმენტში ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებ-ლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o მედიცინის სადოქტორო პროგრამა;<br>o სილაბუსები.<br>o ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• უზრუნველყოფილ იქნეს ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკური შეფასების წესები და პროცედურების შემუშავება და განხორციელება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლა-სწავლების მეთოდები შედგება 6 კომპონენტისგან, ნაცვლად სამისა, რაც მითითებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დანართ N1-ში („ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“, „პასუხუსმგებლობა და ავტონომიურობა“). თუმცა შინაარსობრივად ნათელია, რომ პროგრამა ორიენტირებულია სწავლა–სწავლების მეთოდების გამოყენებაზე და შეესაბამება სწავლის საფეხურს.

მეთოდები, რომელიც აღნიშნულია სილაბუსებში შეესაბამება კურსების სპეციფიკისა და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.

სილაბუსში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები, აღწერილია სწავლებისა და სწავლის შედეგები, როგორიცაა: სასემინარო ნაშრომის პრეზენტაცია/დისკუსია; ჯგუფური სწავლა (დისკუსიები); საკლასო ტესტები, გამოცდები და შეფასება (პრეზენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა), ასევე დამოუკიდებლად სწავლა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o მედიცინის სადოქტორო პროგრამა;
- o სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მედიცინის სადოქტორო პროგრამაში სწავლა-სწავლების მეთოდები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მედიცინის პროგრამის ყველა სასწავლო სილაბუსში მითითებულია შეფასების მეთოდი და ქულობრივი განაწილება. თემის ხელმძღვანელთან იმართება რეგულარული შეხვედრები (ჯგუფური) დისკუსიის და/ან კონსულტაციების სახით, ასევე ხორციელდება უკუკავშირი დოქტორანტის საქმიანობის შეფასებისა და სათანადო მითითებების უზრუნველსაყოფად. დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება, გაიზიაროს შენიშვნები და გამოიყენოს კონსულ-ტაციების დროს განხილული საკითხებიდან მიღებული ინფორმაცია. დოქტორანტის ხელშესაწყობად დაგეგმილია სამჯერადი შეფასება-უკუკავშირი შესამუშავებელი ნაშრომის მომზადების საწყის, შუალედურ და საბოლოო ეტაპზე.

მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაძლევა.

ბ) ხელმძღვანელის რეკომენდაცია ნაშრომის საჯარო განხილვაზე დასაშვებად.

რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციის შეფასებას, იგი ფასდება სადისერტაციო საბჭოს

მიერ დანიშნული ორი შემფასებლის მიერ, რომელთაგან თითოეულის შეფასება უნდა იყოს მაქსიმალური (60) ქულიდან 50%-ზე მეტი. როდესაც შემფასებელთა შეფასებები არსებითად განსხვავებულია (არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებები ან ორი პოზიტიური შეფასების შემთხვევაში, შეფასებებს შორის განსხვავება 15 ქულაზე მეტია), ინიშნება მესამე შემფასებელი. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს დაუბრუნდება დისერტაცია შესწორების მიზნით, მას აქვს ერთწლიანი ვადა მის შესასწორებლად. შემფასებელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ნებისმიერი უნივერსიტეტის პროფესორი.

სადოქტორო დისერტაციის დაცვა ფასდება სადოქტორო დისერტაციის შეფასებისგან დამოუკიდებლად. შეფასება უნდა იყოს 40 ქულიდან 50%-ზე მეტი.

სადოქტორო დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, როდესაც საბოლოო შეფასებაა:

91-100 ქულა - შესანიშნავი (summa cum laude);
81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude);
71-80 ქულა - კარგი (cum laude);
61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი (bene);
ან 51-60 ქულა - საკმარისი (rite).

მოცემული შეფასების სისტემა არ არის შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან. მოგეხსენებათ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის მესამე ბრძანებაში განსაზღვრულია, რომ:
მუხლი 4., პუნქტი 8: „...დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). “

ასევე იგივე მუხლი პუნქტი 17. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

პროგრამაში არსებული შეფასება  წარმოდგენილია ქულებით და რომაული გრადაციით

| |
|---|
| შეფასება ხდება მხოლოდ 40 ქულის ფარგლებში.<br><br>თემის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ პროგრამის დასასრულებლად, სტუდენტს მოეთხოვება ჰქონდეს ორი სტატია: ერთი იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში (Impact-Factor journal) (იმპაქტის მინიმალური დონე 0.5); და ერთი – რეფერირებად ჟურნალში. ერთ-ერთი ასეთი სტატია უნდა გამოსცეს დოქტორანტმა, როგორც პირველმა ავტორმა. ნებადართულია, რომ ზემოხსენებული სტატიებიდან ერთ-ერთი მიღებული იყოს გამოსაცემად.<br><br>მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული პორტალის გამოყენებით და შემდგომ ხდება მონიტორინგის შედეგების განხილვა.<br><br>უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ინფორმაცია, რომ მიიღეს გადაწყვეტილება სადოქტორო პროგრამების კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებაზე მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• დებულება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ დანართებით http://newvision.ge/sites/default/files/regulation.pdf;<br>• NVU სადისერტაციო საბჭოს დებულება: http://www.newvision.ge/sites/default/files/nvu_dissertation_board_regulation.pdf<br>• სადოქტორო პროგრამა;<br>• სილაბუსები; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>1. სადოქტორო დისერტაციის შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში არსებული კარიერული განვითარების ოფისი სთავაზობს ფართო მომსახურებას როგორც სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, მათ შორის, დახმარებას კარიერის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, ქსელში ჩართვასა და დასაქმების შესაძლებლობებთან მიმართებაში. სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღონ კონსულტაციები შესაბამისი აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისგან. კურსდამთავრებულებს შემდგომი მხარდაჭერა აქვთ კურსდამთავრებულთა განვითარების პროგრამის საშუალებით, რომელიც |

უზრუნველყოფს პერსონალური და კარიერული განვითარების შესახებ კონსულტაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტები ძირითადად აქტიურად ეწევიან პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობასაც. შესაბამისად მათთვის მეტად მნიშვნელოვანია მოქნილი სასწავლო გრაფიკი, რაც უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობილია.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქართული ენის კლუბი, მიზნად ისახავს ქართული ენის სწავლებას უცხოელი სტუდენტებისთვის. ქართული ისწავლება კვირაში ოთხი საათი გაკვეთილების შემდეგ მოქნილი გრაფიკით, სემესტრული შეზღუდვების გარეშე. კლუბი ასევე ეფექტური საშუალებაა მულტიკულტურული ფასეულობების გასავითარებლად.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ზოგადი და მიმდინარე ინფორმაციის გაზიარებას, საჭიროებების შესაბამისად საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგვმასა და აკადემიურ მხარდაჭერის მიზნით რეკომენდაციების გაწევას. აღნიშნული მომსახურებები ხორციელდება, როგორც სტუდენტებთან უშუალოდ, პირდაპირი კომუნიკაციით ასევე, სტუდენტური პორტალის, ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხის განხილვისთვის სტუდენტის გადამისამართება ხდება შესაბამისი სკოლის კოორდინატორთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ადმინისტრაციული სტრუქტურა და დებულება;
- ვებ-გვერდი.
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხელმძღვანელებს გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და კომპეტენცია უხელმძღვანელონ დოქტორანტებს. იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი უშუალოდ მუშაობს დოქტორანტთან და პასუხისმგებელია, რომ ამ უკანასკნელმა წარმატებით დაასრულოს სადოქტორო პრაგრამა და ჩამოყალიბდეს კარგ მკვლევარად, განისაზღვრა და გაიწერა მისი ფუნქციები და მოვალეობები. კერძოდ:

• დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.

• დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი რეგულარულად ხვდება დოქტორანტს დისერტაციის წერის პროცესში, დროულად აძლევს მას უკუკავშირს დისერტაციის მომზადებულ ნაწილებთან მიმართებით, აძლევს მიმართულებას, აკონტროლებს დისერტაციის მომზადების პროგრესს.

დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო სტატიების იმპაქთ ფაქტორიან და/ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების, სამეცნიერო გრანტების მოპოვების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ და ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იყენებს თანახელმძღვანელობის პრაქტიკას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი მოითხოვს მულტიდისციპლინარული ან ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- დისერტაციები;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| |
|---|
| 4.1 ადამიანური რესურსი |

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის სტატუსით ჩართულია 77 აკადემიური პერსონალი. მათ შორის პროფესორი 66, ასოცირებული 27, ხოლო ასისტენტ-პროფესორი 4. მედიცინის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ადამიანური რესურსის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებთან. აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა რაოდენობას შორის თანაფარდობა შეადგენს 2/1-თან, რაც ნიშნავს, რომ პროგრამაში დოქტორანტებთან შედარებით, ორჯერ მეტი პროფესორია ჩართული. პროგრამის აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მთლიან რაოდენობაში შეადგენს 100%-ს. პროგრამას არ ჰყავს მოწვეული პროფესორები. აფილირებული პერსონალის რაოდენობის ხვედრითი წილი აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობაში 87%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო დატვირთვა უზრუნველყოფს მათ სრულ ინტეგრაციას სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და ადმინისტრაციულ საქმიანობაში, რაც პროგრამის მდგრადობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმია.

როგორც გაირკვა ინტერვიუს დროს ამ ეტაპზე ყველა არ არის ჩართული პროგრამის განვითარებაში, თუმცა სამომავლოდ ახალი დოქტორანტების მიღების და კვლევების გაფართოების პირობებში მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანი გახდება. დამატებით გამოთხოვილ ინფორმაციაში მითითებულია თემის ხელმძღვანელები. გადმოგზავნილ დოკუმენტებში 14 შემთხვევაში ვერ იქნა ნანახი ხელმღვანელის ან თანახელმძღვანელის პირადი საქმე, მათ შორის უცხოელისაც, მაშინ როცა 76 ფაილია სულ გადმოგზავნილი პროგრამაში მონაწილე იმ პერსონალის, რომლებიც მოაზრებული არიან სამომავლოდ თემის ხელმძღვანელებად და თანახელმძღვანელებად. შესწავლილი პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ ყველა ხელმძღვანელი არის აკადემიური დოქტორი ან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ან დოქტორი ფიზიოლოგიაში ან მოლეკულურ ფიზიკაში. არიან დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები, წარმოდგენილი აქვთ სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შრომათა სია და შეუძლიათ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობა და მნიშვნელოვანი კვლევის განხორციელება.

თუმცა ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების ქართულენოვანი ბიოგრაფიული მონაცემები, ზოგ შემთხვევაში ძალიან

| |
|---|
| მწირია, არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. სასურველი იქნებოდა ერთი უნიფიცირებული ფორმით იქნეს მოთხოვნილი ბიოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზეც. ვინაიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო ევროპული europass ფორმატით.<br><br>უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტში „უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება“, ცალკე თავი აქვს დათმობილი აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს. მეხუთე პუნქტში მითითებულია კანონმდებლობით დადგენილი ძირითადი კრიტერიუმები, სადაც არ არის გათვალისწინებული კლინიკურ დეპარტამენტებში აკადემიური თანამდებობის დაკავებისას მათი კლინიკური აქტივობა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად კლინიკური კვლევების ხელმძღვანელები აკმაყოფილებენ მოთხოვნას კლინიკური გამოცდილების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, კლინიკური მიმართულებით აკადემიური პერსონალის არჩევა უნდა აკმაყოფილებდეს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს;<br>მართალია, დღესდღეობით მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი არეგულირებს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო მედიცინის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში განსაზღვრება არ გვაქვსექსპერტთა აზრით, უმჯობესია აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს: შესაბამისი სპეციალობის სერთიფიკატი და პრაქტიკული, კლინიკური გამოცდილება: პროფესორისათვის: პედაგოგიური – სულ მცირე 6 წელი, კლინიკური – სულ მცირე ბოლო 9 წელი; ასოცირებული პროფესორისათვის: პედაგოგიური – სულ მცირე 3 წელი, კლინიკური – სულ მცირე ბოლო 5 წელი, ხოლო ასისტენტ-პროფესორისათვის კლინიკური – სულ მცირე ბოლო 5 წელი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o პერსონალის პირადი საქმეები;<br>o სამეცნიერო ნაშრომები/პუბლიკაციები;<br>o უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში დეტალურად აისახოს კლინკურ დეპრტამანტებში აკადემიური პერსონალის არჩევის წესი და კრიტერიუმები; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია, შემუშავდეს პერსონალის პირადი საქმის წარმოდგენის ერთიანი წესი და ფორმა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პროფესიული განვითარებისათვის უნივერსიტეტს აქვს კარიერული განვითარების ინდივიდუალური მოდელი, რომელიც იყენებს პერსონალური განვითარების გეგმას (PDP), რათა განისაზღვროს და განავითაროს ის უნარები, რომლებიც თითოეულ თანამშრომელს სჭირდება თვითრეალიზაციისთვის. PDP საშუალებას აძლევს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გაანალიზონ საკუთარი უნარები და განახორციელონ გარკვეული ცვლილებები პროფესიული განვითარების დაგეგმვაში.

მედიცინის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის განვითარებაზე გამოყოფილი თანხები, რომელიც ძირითადად კონფერენციებში მონაწილეობით შემოიფარგლება შეადგენს 21 000 ლარს სამ წელზე. თუმცა მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, უნივერსიტეტს ბიუჯეტში აქვს ხარჯები ტრენინგ ცენტრის განვითარებისთვისაც, რაც თითოეული აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული. უნივერსიტეტის პროფესორები და დოქტორანტები მონაწილეობენ აღნიშნულ აქტივობებში, კონფერენციებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს აქვს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის , სტუდენტებზე ორიენტირებული გარემო. აქვთ სასწავლო ოთახები და სათანადოდო რესურსებით ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა EbscoHost, HeinOnline, ELSEVIER სისტემის ბაზები: Science Direct, SciVal finder,

Scopus, Mendeley–ს მონაცემები.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში გაიხსნა 2019 წელს, გერმანული სახელმწიფო სააქციო საზოგადოებისა და სამეცნიერო ფონდ ZEISS-ის მიკროსკოპიის ლაბორატორია და კვლევითი ცენტრი. ლაბორატორიის რესურსები ხელმისაწვდომია სტუდენტების, დოქტორანტების, მკვლევართათვის და უნივერსიტეტის გარეთ მოღვაწე მიკროსკოპიით დაინტერესებული მეცნიერებისათვის.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სისხლის ბანკში დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ მოიპოვონ და შეინახონ კვლევისთვის აუცილებელი ბიოლოგიური მასალა.

2017 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა კვლევითი პროექტი „ონკოლოგიური პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ინტრაოპერაციული რადიოთერაპიით“. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის უახლესი თაობის აპარატი ინტრაბიმი (INTRABEAM), რომელიც განთავსდა ააიპ ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ბაზაზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩაირიცხა რამდენიმე დოქტორანტი.

2018 წლის კვლევითი პროექტების ბიუჯეტიდან დაფინანსდა და საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, მოეწყო ოფთალმოლოგიური კლინიკური ბაზა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტში დოქტორანტის მიერ ხორციელდება სამეცნიერო კვლევა ოფთალმოლოგიის მიმართულებით.

ასევე გათვალისწინებულია კვლევითი აქტიურობის განხორციელება სხვადასხვა კვლევით ცენტრებში და სამედიცინო კვლევით ინსტიტუტებთან მემორანდუმების საშუალებით: როგრიცაა ი.ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრი, ტიროლის კიბოს კვლევითი ინსტიტუტი, კიოტოს მედიცინის მეცნიერებების კოლეჯი, გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, კანისა და ვენ-სნეულებათა ცენტრი.

უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი ჰოსპიტალი, სადაც დოქტორანტებს აქვთ საშუალება განახორციელონ კლინიკური კვლევები, დანერგონ სიახლეები, მოიპოვონ კვლევისთვის აუცილებელი მასალა, როგორც ბიოლოგიური, ისე კლინიკური.

უნივერსიტეტში კვლევები ტარდება ნიუ-ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ბაზაზე, ან სხვადასხვა ცენტრებში, ან იმ დაწესებულებებში ვისთანაც აქვთ მემორანდუმი გაფორმებული კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებით. ასევე იმ ცენტრებში რომელიც გაიხსნა ურთერთანამშრომლობის საფუძველზე, მაგალითს წარმოადგენს ხსენებული ZEISS-ის მიკროსკოპიის ლაბორატორია და კვლევითი ცენტრი. ასევე საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში შეძენილი ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის უახლესი თაობის აპარატი ინტრაბიმი (INTRABEAM), სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აგრეთვე ახალ CPR ლაბორატორიას, რომლიც აღჭურვილია სამეცნიერო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომია.

ასევე, ადგილზე გავეცანით რეაბილიტაციის ცენტრის აღჭურვილობასა და რეაბილიტაციის პრინციპებს, მათ სამომავლო გეგმებს. აღნიშნული ცენტრი 2019 წელს, უნივერსი-

ტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა, დოქტორანტებს საშუალება ექნებათ განახორციელონ სადოქტორო თემასთან დაკავშირებული კვლევები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მემორანდუმები;
- ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;
- ინტერვიუების შედეგები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- PCR ლაბორატორია
- სისხლის ბანკი
- ZEISS-ის ლაბორატორია

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მედიცინის სადოქტორო პორგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დოქტორანტურის სტუდენტებისათვის გამოყოფილია საჭირო თანხები. ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პროგრამის სრულყოფისათვის.

მედიცინის სადოქტორო პროგრამა გათვლილია 10 დოქტორანტზე. პროგრამის ბიუჯეტი 10 დოქტორანტზე სამ წელზე შეადგენს 135000 ლარს. ერთი დოქტორანტის მიერ ერთი წლის გადასახადი შეადგენს 4500 ლარს.

თუ გადავხედავთ, მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების მიღების სტატისტიკას, მაქსიმალური რაოდენობის დოქტორანტები მიიღეს 2018-2019 წლებში, -28 დოქტორანტი, ხოლო ყველაზე მცირე 2019-2020 წელს 4 დოქტორანტი. 4 დოქტრანტისაგან მიღებული შემოსავალი შეადგენს (4 X4500) 18000 ლარს, ხოლო სასწავლო კომპონენტების შესაბამისად მასწავლებლებისთვის გადასახდელი საათობრივი ანაზღაურება მთელი სამი წლის განმავლობაში შეადგენს 13560 ლარს, ანუ მიღებული შემოსავალი ფარავს მასწავლე-ბელთა ანაზღაურებას. ხოლო კვლევითი აქტივობა კვლევითი აქტივობისთვის უნივერ-სიტეტს აქვს ცალკე გამოყოფილი 5 მლ ლარი, ამას თუ დავამატებთ სხვადასხვა გრანტებიდან მიღებულ თანხებს, რეალურად სადოქტორო კვლევების განხორციელებას ფინანსური პრობლემები არ უნდა შეექმნას ოპტიმალური მენეჯმენტის პირობებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიები და ცენტრები
- ხელშეკრულებები აფილირებლ დაწესებულებებთან კვლევით-სამეცნიერო საქმია-ნობის განხორციელების შესახებ

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან „ხარისხის კულტურის დებულების“ შესაბამისად. აღნიშნული კომიტეტი – ხარისხის კულტურის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა სკოლის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი, არის მთავარი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემაზე. |

ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“.

მედიცინის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია მოიპოვა 2015 წლის 15 ივლისს. ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამა გაუმჯობესდა გარე და შიდა შეფასებების საფუძველზე და ამ ეტაპზე წარდგენილია ხელახალი აკრედიტაციის მისაღებად. პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული იყვნენ თავად დოქტორანტები. 2019 წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა დოქტორანტთა კმაყოფილების კვლევა. 2020 წელს დოქტორანტებთან ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის დისკუსია პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად.

უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტთა კმაყოფილების კვლევის გაცნობისას, თვალსაჩინო გახდა ის გარემოება, რომ 123 დოქტორანტიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 21 დოქტორანტმა ანუ 17%, ხოლო მათ შორის მხოლოდ 8 იყო მედიცინის პროგრამის დოქტორანტი. რეალურად 34 აქტიური დოქტორანტიდან მხოლოდ 23,5%, ანუ მედიცინის პროგრამის დოქტორანტთა მეოთხედზე ნაკლებმა. შესაბამისად ძნელია განსაზღვრო მიღებული მონაცემების სარწმუნეობა საკუთრივ მედიცინის სადოქტორო პროგრამის განვითარებისათვის.

ამ პროგრამის „დაგეგმე“ სტადიის შემუშავებისას მოხდა არსებული სადოქტორო პროგრამების შესწავლა, „განახორციელე“ სტადიაზე მიმდინარეობდა წარმატების მონიტორინგი კომპონენტების შეფასების კითხვარის გამოყენებით („შეამოწმე“ სტადია).

სტუდენტების გამოკითხვის (კომპონენტის შეფასების) კითხვარის ნიმუში ხელმისაწვდომია განმახორციელებელი პერსონალისათვის დაგანთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის შესაძლო დახვეწისთვის („განავითარე“ სტადია).

მედიცინის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგი და განვითარება ხდება პრგრამის ხელმძღვანელების და აკადემიური პერსონალის ჩართულობით, საკუთარი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

არსებული კითხვარები ორიენტირებულია პროგრამაზე სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე კონტროლისთვის. პერამანენტულად მიმდინარეობსპერსონალის კმაყოფილების კვლევა; მიღებული შედეგები განიხილება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გამოკითხვის ფორმები.
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება http://newvision.ge/sites/default/files/xarisxis_kulturis_komitetis_debuleba_0.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების ჩარჩო კითხვარი http://media.wix.com/ugd/1ee20c_fda946bf3e3e4d47b253c2ac42ae6b22.pdf

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის გარე შეფასება განახორციელა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის N 58 გადაწყვეტილებით მედიცინის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

2015 წელს განხორციელებული აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პროგრამის მიზანს, პროგრამის წინაპირობებს, სილაბუსებსქ სილაბუსებში შეფასების კომპონენტებს, სადოქტორო ნაშრომის დაცვა და დახვეწის საკითხებზე. უნივერსიტეტის მიერ გაზიარებული იყო ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ინტერვიუ უნივერსიტეტის დამსაქმებლებთან;
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება http://newvision.ge/sites/default/files/xarisxis_kulturis_komitetis_debuleba_0.pdf;
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების ჩარჩო კითხვარი http://media.wix.com/ugd/1ee20c_fda946bf3e3e4d47b253c2ac42ae6b22.pdf;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, ხორციელდება 1. სასწავლო პროცესის მონიტორინგი; 2. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასება (გამოკითხვა); 3. დოქტორანტის მიერ სასწავლო კურსის შეფასება (გამოკითხვა); 4. აკადემიური პერსონალის გამოკითხვა; 5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა და სხვა.

პროგრამის მონიტორინგი ახორციელებენ პროგრამის ხელმძღვანელები.

ამას გარდა მიმდინარეობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით შეგროვებული მონაცემების თანამიმდევრული და საფუძვლიანი ანალიზი. შედეგების შეჯამების შემდეგ ანგარიში წარედგინება აკადემიურ საბჭოს.საფუძველზე (სტუდენტების პროგრესია, დამთავრების მაჩვენებელი, სტუდენტების კმაყოფილება, კურსის შეფასება და ა.შ.).

ყოველწლიურად უნივერსიტეტის მასშტაბი, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, ტარდება სასწავლო კომპონენტების შეფასების სემესტრული კვლევები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- განხორციელებული შეფასებების/გამოკითხვების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მედიცინა, III საფეხური**

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

დავით ჯიქია, ხელმოწერა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ირმა მანჯავიძე, ხელმოწერა

ანი ბილანიშვილი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა